სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-08 04.02.2025

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის მოპოვების მიზნით, თვითშეფასების ანგარიშის მომზადების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის №01/745 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის მე-6 პუნქტისა და სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2025 წლის 22 იანვრის 01-05/027 საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომ - უნივერსიტეტი) ავტორიზაციის მოპოვების მიზნით, თვითშეფასების ანგარიშის მომზადების უზრუნველსაყოფად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ტრისტან გულბიანი** - უნივერსიტეტის რექტორი, **სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი**;
ბ) **დალი გურასპაშვილი** - უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, **სამუშაო ჯგუფის მდივანი;**
გ) **ჯემალ ძაგანია** - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
დ) **მერაბ მეტრეველი** - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხემძღვანელი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ე) **მაია ხურცილავა** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ვ) **ნინო ძაგანია** - უნივერსიტეტის მწვრთნელთა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ზ) **ქეთევან ბერიძე** - უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;

თ) **მარიამ პაპიაშვილი** - უნივერსიტეტის მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ი) **კახაბერ ხვედელიძე** - უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
კ) **ვასილ ბარამიძე** - უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ლ) **მარიამ ბუაჩიძე** - უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
მ) **ნუგზარ კანდელაკი** - უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ნ) **ნათელა გაგნიძე** - უნივერსიტეტის ადმინისტაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ო) **ნატო ლომთათიძე** - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონსულტანტი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
პ) **გიორგი ზუბიტაშვილი** - სამეცნიერო და კვლევითი სამსახურის უფროსი, უნივერსიტეტის მწვრთნელთა ფაკულტეტის „ფიზიკური აღზრდა და სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ჟ) **ეკა ხურციძე** - უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
რ) **ქეთევან ქობალია** - უნივერსიტეტის პროფესორი, „ფიზიკური აღზრდის და სპორტის“ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ს) **ლადო ჯიოევი** - უნივესიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ტ) **ნათელა მეტრეველი** - უნივერსიტეტის საფინანსო და შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
უ) **გიორგი ხუციშვილი** - უნივერსიტეტის შიდა აუდიტი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ფ) **თენგიზ კაცია** - უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრის დირექტორი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ქ) **მარიამ კილანავა** - უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ქართული და უცხო ენების კათედრის ასოცირებული პროფესორი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ღ) **ვლადიმერ შენგელია** - უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ყ) **ელისო კვანტალიანი** - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგე, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
შ) **მარიამ როსტიაშვილი** - უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტი - **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ჩ) **მაია გელაშვილი** - უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე, **სამუშაო ჯგუფის წევრი;**
ც) **მარიამ მაისურაძე** - უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, **სამუშაო ჯგუფის წევრი;**
ძ) **ნათია ბოლქვაძე** - უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
წ) **ლუკა თოდუა** - უნივერსიტეტის სტუდენტი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ჭ) **ლიზი ომიაძე** - უნივერსიტეტის სტუდენტი, **სამუშაო ჯგუფის წევრი**;
ხ) **მარიამ გოროზია** - უნივერსიტეტის “ფიზიკური აღზრდა და სპორტის (მწვრთნელი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული, **სამუშაო ჯგუფის წევრი.**“.

2. უნივერსიტეტის ავტორიზაციის მოპოვების მიზნით, თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შემდგომ - სამუშაო ჯგუფი) საქმიანობის ვადად განისაზღვროს 2025 წლის 4 თებერვლიდან 2026 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდი.

3. დაევალოს სამუშაო ჯგუფს შემდეგი სამუშაოს შესრულება:

3.1. მონაცემების შეგროვება, გაანალიზება და დამუშავება შესაბამისი დეპარტამენტის/სამსახურის ფარგლებში;

3.2. მონაცემების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;

3.3. თვითშეფასების პროცესში გასაუმჯობესელი მხარეების იდენტიფიცირება და შესაძლებლობის ფარგლებში რეაგირება;

3.4. თვითშეფასების ფორმის შევსება და მტკიცებულებების/ინდიკატორების შეგროვება და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელისთვის გადაცემა შემდგომი რეაგირებისათვის.

4. სამუშაო ჯგუფის შეხვედრას მოიწვევს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, ხოლო, მისი არყოფნის შემთხვევაში - სამუშაო ჯგუფის მდივანი.

5. სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს თავმჯდომარეობს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სამუშაო ჯგუფის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით განსაზღვრული წევრი.

6. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დრო და დღის წესრიგი წინასწარ ეცნობებათ სამუშაო ჯგუფის წევრებს, რასაც უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

7. სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და მდივანი. სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება შეხვედრის ოქმში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში მონაწილეობის მიღების მიზნით, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა.

9. სამუშაო ჯგუფის წევრებმა ფუნქცია-მოვალეობები შესაძლებელია განხორციელონ დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში).

10. დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი **ტრისტან გულბიანი**